

საქნახშირი

პრესრელიზი

მინდელის შახტში დამონტაჟებული უსაფრთხოების თანამედროვე სისტემის მუშაობას სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.



„საქნახშირი ჯი-აი-იჯის“ მენეჯმენტის ინიციატივით -ტყიბულში მინდელის სახელობის შახტზე სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის უსაფრთხოების ახალი სისტემის პრეზენტაცია გაიმართა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის , ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და წიაღისეულის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

„საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა, ჯამბულ ჯაყელმა მათ შახტში დანერგილი უსაფრთხოების ახალი სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და ადგილზე გააცნო სისტემის მუშაობის პრინციპი. აღსანიშნავია , რომ კომპანია ახალი სისტემის დასანერგად ერთი წელია რაც ჩინურ და უკრაინულ მხარესთან ერთად მუშაობს , რის შედეგადაც უსაფრთხოების ელექტრონული მოდელი , სპეციალურად მინდელის შახტისთვის შეიქმნა და სენსორები 400 მეტრის სიღმეზე დამონტაჟდა. აირების კონტროლის, პერსონალის მონიტორინგისა და დისპეჩერიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვა მინუმუმადე დაიყვანს მეთანის აფეთქებისა და მომწამვლელი აირით ინტოქსიკაციის რისკს.

პრეზენტაციაზე კომპანიის წარმომადგენლები მოწვეულ სტუმრებს ესაუბრნენ და ასევე ადგილზე გააცნეს შახტში დანერგილი სხვა სიახლეებიც. პროექტის ფარგლებში შახტში ყველა უბანზე დამონტაჟდა ნახშირორჟანგის, მეთანისა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარის საზომი სპეციალური სენსორები.თითოეული მემახტე სამუშაოდ გასვლის წინ აღიჭურვება ეკიპირებით, რომელსაც თავისი ნომრიანი ინდივიდუალური ჩიპი აქვს. მათი მონაცემები ავტომატურად გადაეცემა უბანზე დამონტაჟებულ სენსორებსა და



საქნახშირი

პრესრელიზი



საოპერატორო სამსახურს, რომელიც ზუსტად აფიქსირებს თუ რომელ უბანზე იმყოფება კონკრეტულად მეშახტე.

ასევე, შახტის დისპეჩერი ოპერატორთან ერთად მონიტორზე ხედავს ადგილზე მომუშავე პერსონალს, ახდენს პერსონალიზციას და ზუსტად განსაზღვრავს მეშახტის ადგილმდებარეობას.

უსაფრთხოების ახალი სისტემა ტყიბულის შახტში ჩინელებისა და ადგილობრივი პერსონალის ერთობლივი ძალისხმევით დამონტაჟდა. მოხდა ყველა იმ პერსონალის გადამზადება, ვისაც ახალ სისტემასთან მუშაობა უწევს. უახლოეს პერიოდში მინდელის სახელობის შახტზე სისტემის ახალი

კომპონენტების ათვისებაც იგეგმება, რის შემდეგაც, აირების მომატების შემთხვევაში, ყველა უბანი აღიჭურვება დენის ავტომატური გამთიშველებით, ელმავლებზე დაყენდება ჩიპები, რაც საშუალებას მისცემთ მარტივად აკონტროლონ ელმავლის ადგილმდებარეობისა და გადაადგილების მარშრუტი.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. პანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

